თვითშეფასებისა და მიღწევის მოთხოვნილების კავშირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნიკურად აზერბაიჯანელ და ქართველ სტუდენტებთან

ანი იოსავა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის მინიჭების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი იოსავა

14/06/2021.

აბსტრაქტი

საკვლევი საკითხი: მოცემული სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნიკურად აზერბაიჯანელი და ქართველი სტუდენტების კავშირის დადგენას თვითშეფასებასა და მიღწევის მოთხოვნილებასთან.

სხვადასხვა კონსტრუქტების შესწავლა ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობებს შორის, ბევრი სამეცნიერო კვლევის საგანია. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ქართულ საზოგადოებაშიც არსებობენ ეთნიკური უმცირესობები, რომელთა სოციალური კოსნტრუქტების კვლევა, ვფიქრობ რომ მნიშვნელოვანია მათი სოციალური და კულტურული ინტეგრაციის უკეთ გასაგებად.

კვლევის მიზანი და ჰიპოთეზა: წარმოდგენილი კვლევის მიზანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მაგალითზე შევისწავლო, ეთნიკურად აზერბაიჯანელი და ქართველი ინდივიდების კავშირი თვითშეფასებასა და მიღწევის მოტივაციასთან.

საკვლევი ჰიპოთეზები: **H1** იქნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტების თვითშეფასებას შორის.

H2 იქნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ქართველი და არერბაიჯანელი სტუდენტების მიღწევის მოტივაცია შორის.

კვლევის მეთოდი: მოცემული საკითხი შევისწავლე რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. მიღებული მონაცემები დავამუშავე კომპიუტერული პროგრამის SPSS-ის დახმარებით და გამოვთვალე დამოუკიდებელი T-კრიტერიუმი.

კვლევის შედეგები და აქტუალურობა: კვლევის შედეგები განხილულია ნაშრომის ძირითად ნაწილში. საკვლევი კითხვის აქტუალურობა კუთხით, ვფიქრობ რომ საკვლევი საკითხი და კვლევა ღირებულია, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების ფსიქოლოგიური კონცეპტების შესწავლა,

მათი ინტეგრაციის უკეთ აღსაქმელად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია რომ ხელმისაწვდომი შერჩევის ფარგლებში მიღებულმა მონაცემთა სიმცირემ გავლენა იქონია შედეგებზე, სწორედ ამიტომ სასურველია რომ ზემოთ ხსენებული საკვლევი საკითხი შევისწავლო უფრო მეტად ფართო მასშტაბის შერჩევაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: **ეთნიკური უმცირესობა; თვითშეფასება; მიღწევის მოტივაცია.**

Abstract

Research topic: The research topic of this master's thesis is to establish the statistical relationship of ethnic Azerbaijani and Georgian students of Ilia State University with the self-esteem and achievement motivation.

The study of different constructs among ethnic minorities and majorities has been the subject number of scientific researches. Simillar to other countries, there are ethnic minorities in Georgian society, the study of social constructs of those ethnic minorities, in my opinion is important for better understanding their social and cultural integration.

Research goal and hypothesis: The goal of the presented research is to study the connection of ethnic Azerbaijani and Georgian individuals with self-esteem and achievement motivation on the example of Ilia State University students.

Research Hypotheses: H1 There will be a statistically significant difference between the self-assessment of Georgian and Azerbaijani students.

H2 There will be a statistically significant difference between the achievement motivation of Georgian and Azerbaijani students.

Research methodology: The given issue was studied by the quantitative research method. Data was processed with the help of the computer program SPSS and the independent t-test was calculated.

Research results and value: The results of the research are discussed in the main part of the paper. In terms of the value of the research question, I think that the research topic and this research is important because, as I mentioned above, studying the psychological concepts of ethnic minorities is important to better understand their integration. It is noteworthy that the scarcity of data obtained within the available sampling had an impact on the results, which is why it is desirable to study the research question on a wider scale of sampling.

Keywords: Ethnic minority; Self-esteem; Achivment motivation.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ნაშრომის შექმნაში. განსაკუთრებული მადლობა ნაშრომში გაწეული დახმარებისთვის ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მაია წერეთელს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე და მეხმარებოდა საჭირო რჩევებითა და რეკომენდაციებით. ასევე მადლობა ცდის პირებს კვლევაში მიღებული მონაწილეობისთვის.